ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2762090

ნომერი: AR1428401

თარიღი : 01.08.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 08.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბი დოლაბერიძე პ/ნ 01017005368
- ქ.თბილისი, ფურცელაძის ქ. #16

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "მნათობი" კოდი: 208143524

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: სამსახურს მისაღებად მიაჩნია საპროექტო ტერიტორიის შიდა მხრიდან კარის მოწყობა , ხოლო რაც შეეხება ჩრდილოეთის მხარეს კარის მოწყობას, ვინაიდან ამ კონკრეტულ მონაკვეთში არ არსებობს სატრანსპორტო მისასვლელი გზა, საჭიროა პირველ რიგში გზის მოწყობის მიზნით მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინოთ გზის მოწყობის სქემა (შესაბამისი დეტალური ზომებით) და ასევე შეთანხმებული გზის ნაწილი უნდა აისახოს ფოტომონტაჟზეც, ხოლო ქონების მართვის სააგენტოს წერილი(თანდართული დოკუმენტაციით) დამატებით უნდა ატვირთოთ "ფაილის მიმაგრება" ველში:

ასევე გაცნობებთ : ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაბაზე უფლებამსილი პირი დირექტორი- ვლადიმერ დგებუაძეა და განცხადებით სამსახურს მონართავს მერაბი დოლაბერიძე საჭიროა წარმოადგინოთ ვლადიმერ დგებუაძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული უფლებამოსილება აღნიშნული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით დამოწმებული შესაბამისი წესით;

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი აღნიშნულის შესახებ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge